საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, ი. ჭავჭავაძის ქ.#103
103, I. Tchavtchavadze Str., Senaki, Georgia

ტელ: (0 413) 27 7547
senakismeria@gmail.com
www.senaki.gov.ge

№ 871

17 აგვისტო 2020 წელი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფისა და პარტნიორობის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 52-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის, ბიზნეს სექტორის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) რამაზ კუპრეიშვილი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, ჯგუფის წევრი;

ბ) მარინე კვარჭაია - ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, LED ოფიცერი;

გ) ნონა ქადარია - ა(ა)იპ სენაკის სათემო განათლების ცენტრის დირექტორი, ჯგუფის წევრი;

დ) გიორგი ხარგელია - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სენაკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი.

2. სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის, ბიზნეს სექტორის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, შეიქმნას ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობა შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლევანი კუპრეიშვილი - სენაკის მუნიციპალიტეტის მერი;

ბ) გრიგოლ ბაღათურია - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

გ) ნანა ზარანდია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

დ) ჯულიეტა ჩოჩია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

ე) ნოდარი ხარჩილავა - ინდივიდუალური მეწარმე;

ვ) სერგო ლაშქარავა - შპს „კედა";

ზ) გოგა ადამია - შპს „ვაგო";

თ) გიორგი გაბედავა - შპს „ნოჩიოლა ჯორჯია"

ი) დათო ადამია - შპს „დაგი".

3. სამუშაო ჯგუფმა 2020 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2021-2022 წლების გეგმის შემუშავება.

4. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავება მოხდეს ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ სამდივნოს მიერ მოწოდებული მეთოდოლოგიისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

5. სამუშაო ჯგუფმა შეხვედრები გამართოს და წარუდგინოს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობას განხორციელებული შეხვედრებისა და პროექტის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში. კერძოდ, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემდეგი საკითხები:

- არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და SWOT ანალიზი
- ხედვა და მიზნები
- სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი

საბოლოოდ, კი, დასრულებული გეგმა წარმოუდგინოს პარტნიორობას დასამტკიცებლად.

6. განსახილველი საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება მოხდეს ხმათა უმრავლესობით.

7. სამუშაო შეხვედრები იქნას დაოქმებული და ხელმოწერილი დამსწრე პირთა მიერ.

8. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

9. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

მუნიციპალიტეტის მერი ლევანი კუპრეიშვილი